# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ) №22

ხულო 20 დეკემბერი 2012 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (II თავის, მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის) და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, ერთის მხრივ [illegible] შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ი/მ მადონა ხოლომონიძე შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს ფარდები და კარნიზები(CPV კოდი 39515000).

1.2 მთლიანი ხელშეკრულების თანხა შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

1.3. შესყიდვის ობიექტის ნაირსახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. საქონლის მიღება – ჩაბარება

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. საქონლის გადაცემა ხდება შემსყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2.2. მიღება-ჩაბარების განხორციელებას სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც ადასტურებენ შესაბამისი აქტის ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

2.3 მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული საქონლისათვის.

2.4. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების დროს ხარისხის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრის ხარჯები ეკისრება მიმწოდებელს.

2.5 შემსყიდველი უფლებამოსილია წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს ხარისხის შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის და წუნდების მიზეზის მითითებით.

## 3. გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

3.2 ამ გარანტიის მოქმედების ვადა და სხვა პირობები განისაზღვრება დამატებითი ხელშეკრულებით.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს წუნდებული საქონელი შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

3.4. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოცვლის რისკით წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებისათვის და მოითხოვოს მიმწოდებლის შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

## 4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებლისთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო სასაქონლო ზედნადების წარდგენის შემდეგ 5 საბანკო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება **უნაღდო** ანგარიშსწორების ფორმით.

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

## 5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესებას, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მიღებული ხელშეკრულებით ნაკისრები თავისი ვალდებულებები.

## 7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლებიც ხელს უშლიან ხელშეკრულების პირობების შესრულებას, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებების დაკავშირებით.

7.2. ამ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გადაწევის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს მთლიანი საქონლის ან მისი ნაწილის;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, თუ:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დასადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

## 9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი დაცან გაწოდების საქონელზე. შემსყიდველმა წერილობითი სახით და ოპერატიულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის საქმიანობისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა საჭირო პირობებით.

9.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დახარჯული საკვლევი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

9.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მიღებული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდაგვარად აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

## 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. გამოსაყენებელი სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის ხორციელდება ქართულ ენაზე.

## 14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ეს თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის თანავე და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

## 16. გადასახადები და ბაჟები

16.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად.
ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„შემსყიდველი"

საიდენტიფიკაციო კოდი 248053911
ანგარიში№ GE07BG0000000606922700
ბენეფიციარის ბანკი სს საქართველოს ბანკი
ხულოს ფილიალი
ბანკის კოდი BAGAGE22

დირექტორი [illegible]

„შემსრულებელი"
ი/მ მადონა სოლომონიძე

საიდენტიფიკაციო კოდი
ა/ნ GE56TB7312436010100003
ბენეფიციარის ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE22

/მ. სოლომონიძე/